



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“**ფ ა მ ტ პ ი ც ე ბ**”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

 **თორნიკე შერმადინი**
„29“ 05“ 2015 წელი

ეგზ N2

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“

აუდიტორული დასკვნა **ა/42/00**

ბუღალტრული ანგარიშგების შესახებ 2014 წლის 1 იანვრიდან - 31 დეკემბერს
დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის

სარჩევი

დასკვნა ბუღალტრული ანგარიშგების შესახებ	3
ფინანსური ანგარიშგება	7
ბალანსის დანართი ფორმა #2- ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	8
ბალანსის დანართი ფორმა #2-1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ.....	9
ბალანსის დანართი ფორმა #3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ.....	10
ბალანსის დანართი ფორმა #4 - ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების შესახებ	11
ბალანსის დანართი ფორმა #5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (ძირითადი საშუალებები).....	12
ბალანსის დანართი ფორმა #5 (გაგრძელება) - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (მატერიალური მარაგები).....	13
ბალანსის დანართი ფორმა #6 - ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე.....	14

დასკვნა ბუღალტრული ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ (შემდგომში „სააგენტო“) ბუღალტრული ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებებს მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდებისათვის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ბუღალტრულ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორის პასუხისმგებლობაში შედის, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვამთ მოსაზრება წარმოდგენილ ბუღალტრულ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ბუღალტრული ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ბუღალტრულ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ბუღალტრული ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ბუღალტრული ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის, გამოვთქვამთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე, ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით. დასკვნის გაცემაზე უარის საფუძველში მითითებული საკითხების გამო, ჩვენ ვერ მივიღეთ საკმარისი და სათანადო რწმუნება, რათა გამოგვხატა ჩვენი აუდიტორული მოსაზრება.

დასკვნის გაცემაზე უარის საფუძველი

სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ ჰქონდა დასრულებული ძირითადი აქტივებისა და მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია და შესაბამისად ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი აუდიტორული რწმუნება სააგენტოს ბალანსზე აღრიცხული ძირითადი აქტივებისა და მატერიალური მარაგების სისრულესა და არსებობაზე.

„საქართველოს გარემოს დაცვის, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და მათ სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების რეორგანიზაციის, უფლებამონაცვლეობის განსაზღვრისა და სახელწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით¹, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო ჩაითვალა სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფლებამონაცვლედ იმ მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნაწილში, რომელიც უკავშირდება ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს და რეგულირების საფასურს. აღნიშნული მოთხოვნების ჯამი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს - 1,648,375 ლარს, მათ შორის 573,824 ლარის ოდენობის დავალიანება ერიცხება შპს „აიეტი ჯორჯიას“, რომელსაც გორის რაიონული სასამართლოს დადგენილებით² დაეკისრა აღნიშნული თანხის სააგენტოს სასარგებლოდ გადახდის ვალდებულება, თუმცა სააგენტოს არ მიუღია შესაბამისი ზომები ამ თანხის ამოღებასთან დაკავშირებით. სხვა დანარჩენი ვადაგადაცილებული დავალიანებების შესახებ სააგენტომ გააგზავნა დასტურის წერილები თუმცა მათი მოთხოვნის მიუხედავად, დებიტორებისგან პასუხები არ მოსულა. საკმარისი რწმუნების მისაღებად დამატებითი აუდიტორული პროცედურების ჩატარება კი შეუძლებელია, შესაბამისად ვერ ვრწმუნდებით აღნიშნული დებიტორული დავალიანებების სიზუსტეში.

სააგენტოს შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს ბუნებრივ რესურსებზე ლიცენზიატების მიერ გადახდილი რეგულირების საფასური, სადაც გამოვლინდა კონტროლის სისუსტე. კერძოდ, ლიცენზიატების გარკვეულ ნაწილს არ აქვს „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ დადგენილებით³ გათვალისწინებული სააგენტოს ხელმძღვანელის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული სასარგებლო წიაღისეულის ათვისების გეგმები, რის გამოც სააგენტოსთვის შეუძლებელია ლიცენზიატის მიერ ლიცენზიის პირობების (სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის მოცულობებისა და მათ ასათვისებლად გათვალისწინებული ვადების დაცვა) დაცვის კონტროლი, რაზეც დამოკიდებულია რეგულირების საფასურთან დაკავშირებული შემოსავლის აღრიცხვა. ამ შემთხვევებში ლიცენზიატები სააგენტოს პერიოდულად წარმოუდგენენ წერილს მოპოვებული ბუნებრივი რესურსების რაოდენობაზე. თუმცა, იმის გამო, რომ არ მოწმდება წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტე, ვერ მოვიპოვეთ საკმარისი აუდიტორული რწმუნება სააგენტოს ბალანსზე აღრიცხული შემოსავლების სისრულეზე.

უარი დასკვნის გაცემაზე

დასკვნის გაცემაზე უარის საფუძვლის აბზაცში აღნიშნული საკითხების გათვალისწინებით ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების მოპოვება აუდიტის დასკვნის გასაცემად სამეურნეო სუბიექტის ბალანსზე 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებებზე მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდებისათვის ამ ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული

¹ 2013 წლის 25 აპრილის N93 დადგენილების პირველი მუხლის, მე-8 პუნქტი

² 2013 წლის 26 ივნისის დადგენილება (საქმე #3/65-13)

³ N136 დადგენილების მე-7 მუხლის „ნ“ პუნქტი

აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად.

მნიშვნელოვან საკითხთა აზრები

სსიპ "გარემოს ეროვნული სააგენტოს" ბალანსზე 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხება უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობები), თანხით - 7,165,714 ლარი, მ.შ შენობები - 649,017 ლარის და ნაგებობები - 6,516,697 ლარის, ასევე ნაპირსამაგრი ნაგებობები. აღნიშნულ ქონებაზე სააგენტოს არ აქვს ინფორმაცია, არ არის დაზუსტებული საკუთრების უფლება და მათი არსებობა.

სააგენტოს მიერ წარმოდგენილი შესყიდვების დოკუმენტაციის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ მიღება-ჩაბარებების ნაწილზე არ იყო მითითებული თარიღები, რის გამოც ვერ მოხერხდა ბუღალტერიაში აღრიცხვის შესაბამისობის დადგენა და ვერ გამოვლინდა შესაძლო დასარიცხი ჯარიმები.

ბალანსში არ არის სწორად გამიჯნული სხვა გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები და სხვა მატერიალური მარაგები. კერძოდ, სხვა მატერიალურ მარაგებში მოქცეულია გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები.

სხვა საკითხთა აზრები

2014 წელს თანამშრომლებზე გაცემული პრემიებისა და დანამატების ანალიზით გამოვლინდა, რომ 2014 წლის 15 ივლისის N449 მთავრობის დადგენილების ძალაში შესვლის შემდეგ, შემცირდა პრემიის გაცემის პერიოდულობა, მაგრამ არა მოცულობა. ამასთანავე, გაიზარდა დანამატების მოცულობა. შესაძარისობის მიზნით, პრემიების რაოდენობა და მოცულობა წარმოდგენილია ცხრილში თვეების მიხედვით შესაბამისი ზრდის პროცენტების მითითებით:

თვე	პრემია	დანამატი
იანვარი	-	3,181
თებერვალი	38,065	3,359
მარტი	3,675	3,072
აპრილი	79,450	3,712
მაისი	71,790	3,476
ივნისი	124,150	2,091
სულ I-II კვარტალი	317,130	18,891
ივლისი	-	1,784
აგვისტო	152,720	1,623
სექტემბერი	500	72,559
ოქტომბერი	-	107,175
ნოემბერი	-	89,559
დეკემბერი	351,940	45,800
სულ III-IV კვარტალი	505,160	318,500
ზრდის %⁴	59%	1586%


⁴ ზრდის პროცენტი აღნიშნავს 2014 წლის 15 ივლისის N449 მთავრობის დადგენილების ძალაში შესვლის შემდეგ (01.07.2014) პრემიისა და დანამატის ზრდის პროცენტს

სააგენტოს ბალანსზე ირიცხება 1998-2003 წლებში წარმოშობილი ხელფასების დავალიანება. შესაბამისად, ამ პერიოდში ბუღალტერიაში აისახა გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი - 39,322 ლარის ოდენობით და ასევე, ხელფასებიდან დარიცხული სოციალური ანარიცხები, რომელიც 2014 წლის ბალანსში დაფიქსირდა ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებად, თანხით - 34,974 ლარით, რომელიც არ ედრება შესაბამის საგადასახადო ბარათს (ბარათზე ნაშთი არ არის).

აუდიტორთა ხელმოწერა:

ბიჭიკო ზარქუა

ანა ბურდიაშვილი



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

ფინანსური ანგარიშგება

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

	31.12.2013	31.12.2014
ფინანსური აქტივები		
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	580,419	1,145,586
მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	-	-
სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	3,226	3,740
სხვა ანგარიშები ბანკში	1,888	-
დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	211,388	139,161
სხვა ანგარიშები ხაზინაში	59,412	304,058
სულ ფინანსური აქტივები	856,333	1,592,545
სხვა დებიტორული დავალიანებები		
სხვა საგადასახადო აქტივი	13,843	12,884
მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	12,599	19,174
მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	110,343	107,379
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	3,314	3,314
მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	511	2,535
მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	4,771,921	5,329,920
სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	-	4,367
სულ სხვა დებიტორული დავალიანებები	4,912,531	5,479,573
არაფინანსური აქტივები		
სხვა მატერიალური მარაგები	106,919	130,127
შენობა-ნაგებობები	9,325,933	9,189,750
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3,257,465	4,828,786
სხვა ძირითადი აქტივები	8,705	90,453
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	1,816,078	1,816,078
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	39,714	171,770
არაწარმოებული აქტივები	-	6,147
სულ არაფინანსური აქტივები	14,554,814	16,233,111
სულ აქტივები	20,323,678	23,305,229
სხვა კრედიტორული დავალიანებები		
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	211,388	139,161
მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	1,861	37,437
აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	8,049	118,373
გადასახდელი მოგების გადასახადი	21,010	32,472
გადასახდელი დღგ	9,888	15,650
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	39,322	39,322
სხვა გადასახდელები	2,737	9,115
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	34,974	34,974
შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	149,022	149,022
ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3,068	3,068
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	125,314	149,537
სულ სხვა კრედიტორული დავალიანებები	606,633	728,131
კაპიტალი		
წმინდა ღირებულება	14,348,775	14,520,650
გაუნაწილებელი მოგება	5,368,270	8,056,448
სულ კაპიტალი	19,717,045	22,577,098
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	20,323,678	23,305,229
საცნობარო მუხლები		
გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	480,212	480,212
ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	394,520	399,396
ამორტიზებული ძირითადი აქტივები	2,365,159	2,365,159
ვადაგადაცილებული დავალიანებები	606,633	238,395

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

ბალანსის დანართი ფორმა #2- ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

ხარჯების ჩამონათვალი	ბიუჯეტით დამტკიცებული	დაზუსტებული	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა
ხარჯები	(449,005)		(289,083)	(289,083)	(289,083)	(2,087,266)	(1,798,183)
შრომის ანაზღაურება	(249,749)		(178,760)	(178,760)	(178,760)	(178,760)	-
ხელფასები	(249,749)		(178,760)	(178,760)	(178,760)	(178,760)	-
ხელფასები ფულადი ფორმით			(178,760)	(178,760)	(178,760)	(178,760)	-
დანამატი	(249,749)		(178,760)	(178,760)	(178,760)	(178,760)	-
საქონელი და მომსახურება	(188,808)		(99,876)	(99,876)	(99,876)	(97,610)	2,266
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება			(8,128)	(8,128)	(8,128)	(8,128)	-
მივლინებები			(41,164)	(41,164)	(41,164)	(41,045)	119
მივლინება ქვეყნის შიგნით			(39,615)	(39,615)	(39,615)	(39,920)	(305)
მივლინება ქვეყნის გარეთ			(1,549)	(1,549)	(1,549)	(1,125)	424
ოფისის ხარჯები			(23,648)	(23,648)	(23,648)	(19,522)	4,126
წარმომადგენლობითი ხარჯები			(1,933)	(1,933)	(1,933)	(1,933)	-
სამედიცინო ხარჯები			(695)	(695)	(695)		695
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები			(7,692)	(7,692)	(7,692)	(1,129)	6,563
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლაშენახვის ხარჯები			(14,966)	(14,966)	(14,966)	(22,677)	(7,711)
სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები							-
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება			(1,650)	(1,650)	(1,650)	(3,176)	(1,526)
პირითადი კაპიტალის მოხმარება						(1,800,448)	(1,800,448)
გრანტები	(10,448)		(10,448)	(10,448)	(10,448)	(10,448)	-
გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს			(10,448)	(10,448)	(10,448)	(10,448)	-
მიმდინარე			(10,448)	(10,448)	(10,448)	(10,448)	-

მონაცემები შტატით და შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობის შესახებ

მ ა ჩ ვ ე ნ ე ლ თ ა და ს ა ხ ე ლ ე ბ ა	ბიუჯეტით		ბიუჯეტგარეშე	
	გეგმით	ფაქტიურად*	გეგმით	ფაქტიურად*
შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა			369	367
შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა			41	41

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

ბალანსის დანართი ფორმა #2-1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	ბიუჯეტით დამტკიცებული	დაზუსტებული	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა
არაფინანსური აქტივები	10,502		10,502	10,502	10,502
ძირითადი აქტივები	10,502		10,502	10,502	10,502
არასაცხოვრებელი შენობები			3,055	3,055	3,055
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი			7,447	7,447	7,447

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

ბალანსის დანართი ფორმა #3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

წმინდა ღირებულება	
ნაშთი 31/12/2013	14,348,775
ზრდა	
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	299,585
გრანტები	304,058
აქტივების უსასყიდლოდ მიღება	2,010,105
სხვა ეკონომიკური ნაკადი	6,147
სულ	2,619,895
შემცირება	
მომუშავეთა ანაზღაურება	(178,760)
საქონლისა და მომსახურების გამოყენება	(97,610)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	(1,800,448)
გრანტები	(10,448)
აქტივების უსასყიდლოდ გაცემა	(13,191)
სხვა ეკონომიკური ნაკადი	(76,763)
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები	(270,800)
შემოსავლების საკასო შესრულებით	
სულ	(2,448,020)
ნაშთი 31/12/2014	14,520,650

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

ბალანსის დანართი ფორმა #4 - ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების შესახებ

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

	სულ		
	გეგმით	საკასო	ფაქტიური
ფულადი სახსრების ნაშთი 31/12/2013	-	585,533	-
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალის ნაშთი 31/12/2013	-	-	5,368,270
საანგარიშო პერიოდის სხვა შემოსავლები	8,269,000	8,325,525	10,786,240
შემოსავლები საკუთრებიდან (იჯარა)	-	950	2,486
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	-	667,547	540,412
სანქციები, ჯარიმები, საურავები	-	12	33,795
ქონების მიღება ბარათით (ა/მანქანა)	-	-	46,400
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (საკუთარი შემოსავლები)	-	69,870	69,870
გარემოს ეროვნული სააგენტოდან გადმოცემული სახსრები	8,269,000	7,587,146	10,093,277
ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	(5,809,100)	(6,406,838)	(6,274,311)
შრომის ანაზღაურება	(5,006,800)	(5,004,829)	(5,004,829)
საქონელი და მომსახურება	(701,300)	(1,250,341)	(1,123,075)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	(117,822)
სოციალური უზრუნველყოფა	(9,000)	(28,585)	(28,585)
სხვა ხარჯი	(92,000)	(123,083)	-
არაფინანსური აქტივები	(3,045,400)	(1,354,319)	-
ძირითადი აქტივები	(3,045,400)	(1,354,319)	-
არასაოპერაციო ხარჯები	-	(575)	(39,270)
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	-	(575)	(575)
არაფინანსური აქტივების უსასყიდლოდ გასვლა	-	-	(38,695)
ვალდებულებების მიღება	-	-	(1,731,000)
მოგების გადასახადი	-	-	(53,481)
ნაშთი 31/12/2014	-	1,149,326	8,056,448

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

ბალანსის დანართი ფორმა #5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (ძირითადი საშუალებები)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

	მიწა	საცხოვრებელი შენობები	არასაცხოვრე- ბელი შენობები	სხვა შენობა- ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა მანქანა- დანადგარები და ინვენტარი	არამატერიალური ძირითადი აქტივები	დაუმთავრე- ბელი ძირითადი აქტივი	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	სულ
ნაშთი 31/12/2013	-	24,245	1,795,506	7,506,182	327,747	2,929,718	8,705	1,816,078	39,714	14,447,895
მატება										
შესყიდვა წინა წლების ავანსების შემცირებით	-	-	62,932	-	-	-	-	-		62,932
შესყიდული მიმდინარე პერიოდში			824,282	-	342,259	281,558	-	-	138,153	1,586,252
ბარტერით	-	-	-	-	46,400		-	-		46,400
იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ	-	-	-	-	111,558	65,790	-	-		177,348
გრანტებით			-	-	14,061	1,722,295	92,513	-	3,795	1,832,664
სხვა ეკონომიკური ნაკადებით	6,147	-	-				-	-		6,147
გასვლა										-
იმავე დონის სახელმწიფო ერთეულზე უსასყიდლოდ	-	-	(691)	-	(44,036)	(7,159)	-	-		(51,886)
სხვა ეკონომიკური ნაკადებით	-	-	-	-	(76,607)	-	-	-		(76,607)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	(1,570)	(41,862)	-	(116,318)	(768,480)	(10,765)	-	(9,892)	(948,887)
საქონელი და მომსახურებით	-	-	-	(979,274)	-	-	-	-		(979,274)
ნაშთი 31/12/2014	6,147	22,675	2,640,167	6,526,908	605,064	4,223,722	90,453	1,816,078	171,770	16,102,984

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

ბალანსის დანართი ფორმა #5 (გაგრძელება) - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (მატერიალური მარაგები)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

	წედლეული და მასალები	ფულადი დოკუმენტები	სათადარიგო ნაწილები	სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები	სულ
ნაშთი 31/12/2013	12,422.00	17,559.00	10,407.00	66,531.00	106,919
მატემა					
შესყიდვა წინა წლების ავანსების შემცირებით	-	-	-	-	62,932
შესყიდული მიმდინარე პერიოდში ბარტერით	45,405	6,479	5,935	195,643	1,839,714
იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ	-	-	-	-	46,400
გრანტებით	-	-	-	93	1,832,757
სხვა ეკონომიკური ნაკადებით	-	-	-	-	6,147
გასვლა					-
იმავე დონის სახელმწიფო ერთეულზე უსასყიდლოდ	-	-	-	-	(51,886)
სხვა ეკონომიკური ნაკადებით	-	-	-	(156)	(76,763)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	-	-	(948,887)
საქონელი და მომსახურებით	(14,952)	(12,890)	(7,257)	(195,092)	(1,209,465)
ნაშთი 31/12/2014	42,875	11,148	9,085	67,019	130,127

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

ბალანსის დანართი ფორმა #6 - ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		საანგარიშო პერიოდში მიღება				საანგარიშო პერიოდში მიღება		საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)			
			შეძენა		სხვა სახით მიღება		სხვა სახით გასული									
	რაოდენობა	ღირებულება	რაოდენობა	ღირებულება	რაოდენობა	ღირებულება	რაოდენობა	ღირებულება	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათადარიგო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათადარიგო ნაწილები
სატრანსპორტო საშუალება სულ:	105	327,747	12	342,259	4	172,019	11	120,643	188,695	58,470	116,229	13,996	192,917	58,470	127,190	7,257
მათ შორის																
მსუბუქი	10	5,119	6	161,425	1	14,061	6	38,079	36,590	4,448	31,022	1,120	36,590	4,448	31,022	1,120
ჯიპები და პიკაპები	31	192,171	5	177,635	2	147,458	4	79,064	133,425	43,381	77,168	12,876	137,647	43,381	88,129	6,137
სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებები	28	67,357	1	3,199	1	10,500	1	3,500	15,796	10,641	5,155		15,796	10,641	5,155	
სპეც მანქანა და სატვირთო	36	63,100							2,884		2,884		2,884		2,884	